ცისფერი ყანა

№ 31

8 ენკენისთვე 1913 წ.

ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲡᲫᲔᲜᲐ

ᲫᲘᲠᲘᲚᲔᲑᲐ

ᲫᲘᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ. ფასი 1 წლ.,—5 მან 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ᲥᲝᲗᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა 5—7 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დირექტორი: თბილისი კლდე.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: ძველი ჩვეულება და ახალი სინამდვილე. —ა—ისა. მცირე შესუხი.—**ალ. ყიფშიძისა.** დემოკრიტე და ჭერაკლიტე.—**ქართლელისა.** გიორგი საკაძის სახელის სამეურნეო სკოლა.—**სვ. ქვარიანისა.** შემოდგომა.—დეკსი **კ. აბაშიძისა.** შაბიამანით!..—**ოლ. ბეჟ-აგლაძისა.** საზარელი დღეები.—**ეკალისა.** წინააღმდეგარიანთ კარის სამეურნეო სკოლა.—**სვ. ხუნდაძისა.** ჩვენი სკოლის ბედ-იღბალი.—**რ. გ—ესი.** „კავკასიური ეკვადი“.—**ქართველი მეუველისა.** მართალია? კოოპერატიული მოძრაობა.—**დ. ვ—ისა.** ბ. თევდორე დლონტის.—***—**სა.** ჩვენი ფოსტა.

ძველი ჩვეულება და ახალი სინამდვილე

რუსის ადმინისტრატორებს ერთი ჩვეულება სჭირთ. სჯერათ არა ის, რასაც აწვდის მათ სინამდვილე, არამედ მარტო ის, რასაც თითონვე ამბობენ. იტყვიან, რომ კავკასიას ცეცხლი უკიდია და მაშინ სრულიად რუსეთის ყველა ნასოსები“ჩვენსკენ არის მოშვერილი და არ არსებობს ისეთი სასტიკი საშუალება, რომლითაც არ აქრობდნენ ამ „ცეცხლს“. იტყვიან რომ კავკასიაში სრული სიმშვიდეა და მაშინ მზად არიან სულში ჩაგვისვან. ჩვენთვის აქამდისაც გამოუცნობია ის კრიტერიუმი, რომლის მეოხებით სჩადიან ერთსაც და მეორესაც. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მთელი კავკასია სეპარატიზმის ბუდეთ იყო გამოცხადებული და ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ ამ ცრუ ცნობების განმტკიცებაში თვით კავკასიის მთავრობასაც არ ედო წილი, მაგრამ დრონი იცვალნენ. გამოქვეყნდა მეფის მოადგილის მოხსენება, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ კავკასიაში არავითარი სეპარატიზმი არ არის. ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ამოვისუნთქოთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის მაინც იმ ადამიანის მდგომარეობაში ვიყოთ, რომელიც მრავალ ხნის განმავლობაში გამოძიების ქვეშ იმყოფებოდა, აბრალებდნენ კაცის კვლას და ყველა სასაძაგლეს და როდესაც გაანახევრეს მისი სიცოცხლე გამოუცხადეს: მიბძანდით, თქვენ კაცის მკვლელი არა ხართო! უბრალო ცხოვრებაში ამას ჰქვიან სასამართლოს შეცდომა, მაგრამ როდესაც ამასვე ახდენენ მთელ ერზედ, ან მთელ ერებზედ, მაშინ ეს მეტია, ვიდრე თვით ინკვიზიცია. ამბობენ, რომ საჭიროა რეფორმები. მაგრამ ჩვენ ვიცით როგორ მსჯელობს მთავრობა ასეთ შემთხვევებში. კავკასიაში, რომ სეპარატიზმი ყოფილიყო, მაშინ საჭირო იქმნებოდა დამშვიდება, მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს, კავკასია დამშვიდებულია, მაშასადამე კავკასია ურეფორმოთაც ბედნიერია. აი ლოგიკა მმართველ წრეებისა, რომელიც არ დააყოვნებს და მალე იჩენს თავს.

ჩვენ გვწამს, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მართლა მოწადინებულია სანამესტნიკოში რეფორ-

მები იქმნეს შეგროვებული, მაგრამ მთელი მისი მოხსენება ისეა შედგენილი, ფაქტები ისეა დალაგებული და ისეა გაშუქებული, რომ სწორეთ ამ მოხსენების ძალით არ მოგვეცემა არავითარი რეფორმა. რა არის მთავარი მიზანი მოხსენებისა? დაამშვიდოს და დაარწმუნოს ცენტრალური მთავრობა, რომ კავკასიაში ყველაფერში სიმშვიდეა. აი დომინანტაკორდი მოხსენებისა. ჩვენ კი ვიცით რუსეთის სახელმწიფოებრივ პრაქტიკიდან, რომ თუ მთავრობა თავს დამშვიდებულად გრძნობს, იგი რეფორმას არ იძლევა.

ჩვენც იმ აზრისანი ვართ და გვჯერა კიდეც, რომ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში სიმშვიდეა, მაგრამ როდესაც მთავრობა ბრალმდებელის როლიდან დამცველის როლში შედის და სეპარატიზმთან ერთად ყველაფერს ქარსა და ნიავს ატანს, და მთელი ჩვენი პოლიტიკური აზრი, პროგრამები და სურვილები დაბალ ხარისხის მოითხოვნილებადა აქვს წარმოდგენილი, რომლებიც ეროვნებასა და სასამართლოს რეფორმაზე შორს არ მიდიან, მაშინ ჩვენ თითონვე უნდა ავიმაღლოთ ხმა და ვსთქვათ, რომ არც ისეთი სუმბუქები ვართ, რომ ჭიანჭველაც ვერ გავჭყლეტოთ! რასაკვირველია, ჩვენ სეპარატისტები არა ვართ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ საუკეთესო ავტონომისტები ვართ და ეს კი არ არის აღნიშნული მოხსენებაში. და არა მარტო ეს, მოხსენებაში ძალიან სუსტად არის აღნიშნული საზოგადოთ პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსი და ეს იმ დროს, როცა იგივე მოხსენება განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობა სომხობას, იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში სეპარატიზმი არ არის, მოყვანილია ფაქტები ლოიალობისა მარტო სომხების ცხოვრებიდან და მოხსენება ძალაუნებურად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს საქართველოში იმიტომ იყოს მშვიდობა, რომ სომხები თავიანთ სახალხო სკოლებში რუსულ ენას დიდის სიამოვნებით სწავლობენ. იძულებული ვართ ასე განვმარტოთ, რადგან მოხსენების გამოქვეყნებულ ადგილებში საქართველოს შესახებ სხვა არაფერი არის ნათქვამი.

რათა ხდება ასე? რათა ხდება, რომ ხან ყველა ცოდვებს თავზედ გვახვევენ და დაწყობილი სეპარატიზმიდან ყველაფერს გვწამებენ, ხან კი ისეთ დაბალ პოლიტიკურ ხარისხამდე ჩამოვყევართ, რომ უარჰყოფენ არამც თუ ჩვენს სეპარატიზმს, არამედ უბრალო შეგნებასაც, რომლის ძალით არავითარ იდეას, პოლიტიკურ მიმართულებას და მისწრაფებას ადგილი არა აქვს ვითომდა ჩვენში და ძალაუნებურად ისეთ მდგომარეობას ქმნიან, რომ ცენტრალური მთავრობა მეფ[illegible]ნაკლებ ანგარიშს გაგვიწევს. ხდება იმ[illegible] შემთხვევაშიაც, როცა სეპარატიზმს გვაბრალებენ და იმ შემთხვევაშიაც როცა ყველაფერს თითონვე უარჰყოფენ მთავრობა არსებითად ერთ წერტილზედა სდგას ერთგანაც და მეორედგანაც მთავრობა სიმართლეს მალავს, მთავრობა ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს და სჯერა მ[illegible]ტო ის, რასაც თვითონ ამბობს. გასაქებურია სომხებისთვის, როცა მოხსენება მათ შესახებ ამბობს, რომ მაშინაც კი გატაცებული სწავლობენ რუსულ ენას, როცა ეს მათთვის სავალდებულო არ არისო. განა სიმართლესთან ახლოა ის ცნობა, ვითომც ექსარხოს ინოკენტის მეოხებით ავტოკეფალიის საკითხი ისე მწვავედ აღარ არ დაყენებული და ეს იმ დროს, როცა ამ საკითხს უმწვერვალესობამდე მიაღწია და განა პოლიტიკური ტაქტი უსათუოდ მოითხოვს იმის თქმას, რომ მუსულმანებში პანტურკიზმი და პანისლამიზმი იმიტომ არ არსებობენ, რომ მუსულმანური მასა ფრიად ბნელი და გაუნათლებელია? სჩანს, საკმარისია განათლებამ იმატოს მუსულმანებში და პანტურკიზმი და პანისლამიზმი იმ წამსვე გაჩნდეს. აქედან რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს ცენტრალურმა მთავრობამ? ერთად ერთი—აღკრძალეთ განათლება! და ყველა ეს ნათქვამია მოხსენებაში, როცა სინამდვილეში მსგავსი რამ არ არსებობს.

საზოგადოებრივი ცხოვრება კავკასიისა გაზარდა. მეორე ვორონცოვის დროს კავკასია აღარ არის, რაც იყო პირველ ვორონცოვის დროს. აღმოცენდნენ უფრო რთული კომბინაციები, რომლებიც სრულებით არ ეწინააღმდეგებიან რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს და დროა, რომ ხალხი და მთავრობაც შუდამ ყამს და ყოველ პირობებში მართლის თქმას შეეჩვევნენ და არ დამალონ ხოლმე ის, რაც არსებობს სინამდვილეში.

ა. ი.

მცირე პასუხი

განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს დარჩა სოფელ ყვარელში მამა-პაპეული მამული, ზომით 49 დეს. 1255 ოთხ-კუთხი საჟენი. როგორც სხვა მამულები განსვენებულისა, ყვარელის მამულიც უზ

მოდ იყო დავალიანებული ბანკის ვალით (თითქმის 17,000 მან.), ამის გამო პირდაპირმა მემკვიდრეებმა უარი სთქვეს მემკვიდრეობაზე და მამული ჩვენს საადგილ-მამულო ბანკს დარჩა საკუთრებად.

თითქმის $^5/_6$ მამულისა შეიკავდა ტყეს, რომელიც ყვარელიდან 15 ვერსის სიშორეზე მდებარეობდა. ტყეს მუშტარი არა ჰყავდა, არავის უნდოდა ასე შორს მდებარე ტყე. მუშტარი იყო სახლ-კარისა, მცირეოდენ ვენახებისა და სოფლის პირას მდებარე საჭიგოვე პატარა ტყისა და სახნავისა.

საადგილ-მამულო კომისიამ როგორც იყო მოახერხა და მიჰყიდა ეს მამული ყვარელელებს 10.000 მანეთად, ხოლო სახლ-კარი ილიასი—1 დეს. 100 საჟენი შეიძინა საკუთრებად ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ 20 აგვისტოს 911 წ. 5344 მ. 39 კაპეიკად. აქედან თავნი ვალია 3654 მ. 99 კ., ხოლო 1687 მ. 40 კ. ნედოიმკა. მართალია თავად-აზნაურობამ თვის საკუთრებად შეიძინა ეს მამული, მაგრამ დაადგინა, რომ იგი გადასცეს ქ. შ. წ.-კ. ს. სრულ გამგებლობაში. ასეც მოიქცა თავად-აზნაურობა. საადგილ-მამულო კომისიამ ეს მამული თვის ინსტრუქტორის ა. დ. ციციშვილის ხელით ჩააბარა წ.-კ. გამ. საზოგ. თელავის განყოფილებას,—სახლ-კარი ილიასი, ეზო და წისქვილი.

თელავის განყოფილება ჯერ ისევ 10 ნოემბერს 1910 წ. (განცხადებას ხელს აწერენ თავმჯდომარის ამხანაგი ვ. კახიძე და მდივანი ივ. პაატაშვილი) თანახმა იყო იკისრნა 12000 მან. ვალი, მაგრამ საადგილ-მამულო კომისიამ კარგად იცოდა ავლადიდება წ.-კ. გ. საზოგადოებისა და მის თელავის განყოფილებისა და ეს ვალიც მოხსნა, ასე რომ მამული ჩააბარეს სრულიად უვალოდ. ასე გასინჯეთ საადგილ-მამულო კომისიამ წრეულს სახელმწიფო გადასახადი და საერობო ხარჯი ამ მამულისა 25 მ. და 40 კაპეიკიც-კი შეიტანა ხაზინაში და თელავის განყოფილება აღარ შეუწუხებია. დღემდის ამ მამულისა თავად-აზნაურობამ შეიტანა ბანკში და ხაზინაში 1513 მან.

ამ ხასიათისაა მზრუნველობა ტფილისიდან საადგილ-მამულო კომისიისა ილიასეულ სახლ-კარზე სოფ. ყვარელში.

თელავის განყოფილების და ბ. ბ. თელაველ კორესპონდენტების მზრუნველობა და უნარი რაღაში გამოიხატა? თელავის განყოფილება იწერება, თუ 5.000 მანათს არ მომაშველებთ, მამულს ვერ მოუვლიო, ხოლო კორესპონდენტები აგერ ეს სამი წელიწადია, ვითარცა ძაძა-მოსილნი, წუწუნებენ პრესაში, თავად-აზნაურობა „დიდებულ მამულიერ ილიას სახლ-კარზე არა ზრუნავს და პატრონობას არ უწევს პოეტის სახლსაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად საყურადღებო ახლა ისაა—თუ თავად-აზნაურობა და მისი საადგილ-მამულო კომისია აქედან (ტფილისიდან) კალთით ფულებს გაჰგზავნის თელავში, ბანკს ვალსაც ნაწილ-ნაწილად გადიხდის, შემდეგ მიაშველებს თელაველებს არქიტექტორს სახლის შესაკეთებლად, ინჟენერს—წისქვილის გასაკეთებლად, გამოცდილს პედაგოგს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოსაწყობად და სკოლის დასაარსებლად, მაშინ თვით ადგილობრივი ორგანო—თელავის განყოფილება და მდიდარ სოფლის ყვარლის საზოგადოება რაღა მოხელენი იქნებიან? რა აზრი ექნება მაშინ თელავში განყოფილებას, თუ მარტო იმის უნარს გამოიჩენს, რომ ას თუმნობით ცენტრიდან მოწყალება ითხოვოს და თვითონ კი ხელი ვერ გაანძრიოს და ორი გროში ვერ შეაგროვოს?

კახეთი სავსეა განათლებული ხალხით, შეძლებული და ღონიერი გლეხ-კაცობით და ნუ თუ იმდენი თვითმოქმედება ვერ გამოუჩენიათ, რომ თვის საუკეთესო ღვიძლ შვილს შესაფერი პატივი სცენ? ნუ გაიწყრებ-თ და პირდაპირ მოგახსენებთ—ეს სრული ეროვნული სიდამბლეა და უნიათობა.

თავად-აზნაურობა ნოეს კიდობანი ხომ არ არის? იგი ყველას ვერ გასწვდება. თუ ადგილობრივ სიცოცხლის უნარს ვერ გამოვიჩენთ, ტყუილი იქნება ცენტრიდან ოქროს წვიმების დენა.

სანუგეშოდ გულგატეხილ თელაველ კორესპონდენტებისა შემიძლიან ვსთქვა, რომ თავად-აზნაურობა მზადაა ვალის მოწყვეტის გარდა ფულითაც დაეხმაროს ქ. შ. წ.-კ. ს. თელავის განყოფილებას, რომ ილიასეული სახლ-კარი და კარ-მიდამო რიგიანად შეინახოს, ხოლო მაშინ კვლავ დიდი და პატარა იკითხავს—რისთვის არსდება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაწყოფილებანი და კერძოდ თელავისა, თუ თვითონ ხელის განძრევის თავი არ ექნებათ და ბოლო-ირიასავით ცენტრს აეკიდებიან?

5 ენკ. 1913 წ.
ქ. ტფილისი.

ა. ყიფშიძე.

დემოკრიტე და ჰერაკლიტე

(**სადღეისო**)

ძველად საბერძნეთში სახელი გაითქვა ორმა ფილოსოფოსმა: დემოკრიტემ და ჰერაკლიტემ. პირველი მუდამ იცინოდა, მეორე კი ცრემლთა ზღვად იქცა და გამოდარებული ვერავინა ნახა: ერთ თავად სტიროდა და სტიროდა, როგორც დანამული მარილის კვირტი.

თქმა არ უნდა, თანამედროვე მოაზრე თანამედროვე საზომით რომ გადახედავს მათ, ერთსაც გაუწყრება მეორესაც, შეიძლება სულელებადაც დასახოს, ვიდრე ფილოსოფოსებად. ერთით კი, გეთაყვათ, ვის გაუგონია მუდამ გიჟური სიცილი ან და მუდმივი წრიპინი, რომ სიხარულის ლანდისა მაინც არა გვესმოდეს რა?

არ ვიცი, რით გაიმართლებდნენ დღევანდელ მხილებელთა წინაშე ეს ძველი დროის მოაზრენი, მაგრამ ეს კი აშკარაა, ახლა რომ ჩვენში ეცხოვრათ, კურთხეულს საქართველოში, უეჭველია ხარხარისა და ცრემლის სამეფოკ გარდაჰქმნიდნენ მას.

და მართლაც, ნუ თუ სატირელი არ არის, რომ ერს, რომელსაც დიდებული წარსული ჰქონია. საკუთარი ისტორია, დღეს ჩვენვე ვიგდებთ მასხარად. ვათახსირებთ, მიწასთან ვასწორებთ, ვთაკილობთ, რომ ჩვენ ჩვენს ერს ვეკუთვნითო.

რომ ქ. რთველები ვართ...

რომ უცხო ერებთან გასაყოფი არა გვაქვს რა...

საქმე საერთაშორისო პროლეტარია...

საქმე საერთაშორისო სოლიდარობაა ..

საქმე საერთაშორისო...

მიაყოლეთ რაც გნებავთ, ოღონდ საერთაშორისოს ნუ მოაშორებთ; გუდა ჩამოიკიდეთ და თუ მარსის პლანეტაზე ხალხი აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, პროლეტარებითურთ, აი ამ პროლეტართა დასახმარებლად შეჭრიბეთ ფული, პური, წყალი, იმიტომ რომ... გასაყოფელი არა გვაქვს რა!

რა ვუყოთ, რომ ისინი მაძღრები არიან...

რა ვუყოთ, რომ იმავე დროს ჩვენში შიმშილობა შლის ფრთებსა...

რა ვუყოთ, რომ თვითონ გვიტირის ბავშვი სახლში, პური მოგვეცითო!

საქმე მარსია...

საქმე მარსიელი პროლეტარებია...

საქმე მარსიელებთან სოლიდარობაა და არა საკუთარი ჭირის მოვლა...

არა საკუთარი კვნესის შესმენა...

არა საკუთარი ტკივილის გრძნობა!

თუ რომ გაბრიყვდით დაიგვიანებ თქვენ თქვენ თქვენი თავი, მაშინ... აღსრულდა!

ზუბრი ხართ...

ბურტყუა...

ტირანი...

უნდა მოკვდეს თვით ერის მესაიდუმლეც კი, თუ მას შუბლზე საჭირო იარლიკი არ აკრავს.

ის ავაზაკია!

ჯაშუში!

ოინბაზი!

სისხლის მსმელი წურბელა!

შხამიანი ობობა!

სიკვდილი მას...

ჩვენც ვითმენთ ამ ხმებს, ვითმენთ და თუ ისეთი დაუჯერებელი რამ მოხდა, როგორც ილიას სიკვდილია, ავყაყანდეთ...

დავიწყოთ ტირილი...

ვიწყევლოთ ჩვენი დაობლება...

უპატრონობა...

აბუჩად აგდება...

ჩვენი უხამსობა...

ჩვენი დეგენერატობა...

რატომ?

მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ეს წუმპე...

ნაჭეჭყი წყალი...

შმორი...

ავიღოთ და „თემის“ რეცეპტით რომელიმე უცხო ერის ლეიბ ორგანოს წარმომადგენელთ გავარჩევინოთ:

რამდენად მართლები ვართ წუმპის დაგუბებაში...

რამდენად მართლები ვართ ჩვენს ტირილში ანუ ჩივილში. .

რამდენად მართლები ვართ მათს მართლ-მსაჯულების წინაშე:

ღირდა თუ არ მოგვეკლა ილია...

ღირს თუ არა, ადამიანმა ყური უგდოს უხამს პოტესტებს...

და ყველა ეს იმ დროს, როდესაც ათასი მორიგი საკითხი გვაქვს გასარკვევი... გადასაჭრელი...

ათასი ტკივილი ითხოვს წამალს...

მოდით და ნუ იტირებთ...

მოდით და ნუ იხარხარებთ...

მოდით და გაამტყუნეთ, თუ ოდესმე არსებობენ სულელი ფილოსოფოსები, რომელთაც ორი უკიდურესი სამეფო დააარსეს:

სიცილისა და გოდებისა!

მართალი იყო დემოკრიტე...

მართალი იყო ჰერაკლიტეც...

ჩვენც გვძართებს ტირილი...

ჩვენც გვმართებს გიჟური სიცილი...

სიცილი, რომელიც „ცოემლზე უფრო მწარეა...“

იქნებ მაშინ გამოვფხიზლდეთ...

იქნებ უკიდურესობამ საშინელებიდან გვიხსნას...

იქნებ ვიპოვნოთ დაკარგული საღი ჰეროფფლრმა, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუსხლტებ[illegible]

მანამდე კი თვითო ჩვენგანი დაე იყოს დემოკრიტე...

დაე დარჩეს ჰერაკლიტედ...

ქართელი.

გიორგი საკაძის სახელის სამეურნეო სკოლა

ამ ერთი თვის წინად ვისარგებლე თ. ვასო ალ. თარხან-მოურავის მიწვევით და სოფ. ახალქალაქში (ქართლში) წავიკითხე ლექცია დიდი მოურავის გიორგი საკაძის შესახებ.

დიდი ხანი მაინტერესებდა მენახა ის კუთხე, სადაც დაიბადა და აღიზარდა საქართველოს უდიდესი გმირი. ვნახე გ. საკაძის სოფელი **ნოსტე**, მისი სასახლის ნაშთები, მისი ექვს სართულიანი მაღალი კოშკი, დღემდე საუცხოოდ შენახული და ის ფართო ქვა, რომელზედაც იჯდა ხოლმე დიდი მოურავი და ეძლეოდა თავის ღრმა ფიქრებს სამშობლოს კეთილ-დღეობაზე. ამიტომ იმ ქვას ხალხი ეძახის **„ფიქრის ქვას“**.

გადავხედე ნოსტედან თეძრის მინდვრებს, ცხირეთის ციხეს, ერთაწმინდას, გორის მიდამოებს და სანახაობამ სიამესთან ერთად მძიმე სევდით აავსო ჩემი გული. წარმომიდგა ქართველი ერის ძველი დიდება, მტერთან მედგარი ბრძოლა, გმირული თავგანწირვა; თვალს დაეხატა ცხირეთის ომი, ყურს მოესმა საკაძის მჭეჭარე ხმა და ამ საამო ბუერანიდან გამორკვეულს დამეხატა დღევანდელი ჩვენი სინამდვილე, ჩვენი დაკნინება, სულით დაძაბუნება, სილაჩრე სამშობლოს ღალატი და ნივთიერ კულტურული გაღატაკება. . ბნელი ბურუსი მოეხვია ჩემს იდუმალ ფიქრებს, მაგრამ ამ სიბნელეში ნათელ სხივად მომეჩვენა ერთი რამ,—ეს იყო დიდი მოურავის შთამომავალთა, ახლანდელ თ-დ თარხან-მოურავების გამოფხიზლება; თავის გმირ წინაპარზე წაკითხულმა ლექციამ ააფრთოვანა ისინი. იმათ გადაწყვიტეს დააარსონ **დიდი მოურავის ფონდი**. ლექციიდან შემოსული ფულის ნახევარი გადაიდო ამ ფონდისათვის და ცდილობენ ამ ფონდის გადიდებას სხვა და სხვა საშუალებით. აქვე დაიბადა მეტად გონივრული აზრი დააარსონ ახალქალაქში გიორგი საკაძის სახელზე **პრაქტიკული სამეურნეო სკოლა**.

ამგვარი პრაქტიკული სკოლა (écoles pratiques, écoles-fermes) მეტად ბევრია ევროპაში, განსაკუთრებით კი იტალია-საფრანგეთში. ამ გვარ სკოლებს მეტად დიდი სარგებლობა მოაქვს განათლებულ ქვეყნებში და, ეჭვი არაა, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სამშობლოსაც, თუ კი ამ ტიპის სასწავლებელი გავრცელდება ჩვენში.

ჩვენი სამეურნეო სასწავლებელნი სამწუხაროდ, ვერ აღწევენ მიზანს. ამის უმთავრესი მიზეზია: 1) ის რომ ამ გვარ სკოლაში ბევრად მეტ ყურადღებას აქცევენ **თეორიას**, ვიდრე **პრაქტიკას**. აზეპირებინებენ მოწაფეებს ბოტანიკას, ზოოლოგიას, ქიმიას, მებაღეობას, მებოსტნეობას, ჭირნახულის მოყვანას, მეაბრეშუმეობას, მეფეტვეობა-მელვინეობას და სხ. და ყველა ამას **წიგნებით, წიგნებით** და **წიგნებით**. ხშირად ისეთი მასწავლებელნი უხსნიან ამ თეორიას, რომელთაც სუსტად იციან თავის სპეციალური საგნები. სამი-მეოთხედი ამ ხელოვნურად შეთვისებული თეორიისა, რჩება პრაქტიკულად აუხსნელი, უცდელი და მხოლოდ ერთ-მეოთხედს თუ ავარჯიშებენ პრაქტიკული ცდით, ისიც ხშირად უვიცად და უხალისოდ. ეს ზედმეტი ბაგაჟი თეორიისა, ეს დაზეპირებული სამეურნეო მეცნიერების ნაკუწები მალე ავიწყდებათ მოწაფეებს ეგზამენების შემდეგ და ამ რიგად ეს შრომაც იკარგება უსარგებლოდ. 2) მეორე მიზეზი ისაა, რომ ჩვენს სამეურნეო სკოლებში მასწავლებლად იწვევენ რუსეთში ნასწავლთ; რუსეთში კი სამეურნეო სკოლა მეტად

ცუდათაა დაყენებული, იქაც მეტ ყურადღებას აქცევენ **თეორიას** და **არა პრაქტიკას**. ამიტომ რუსეთის სამეურნეო სკოლები იძლევიან უმთავრესად **თეორეტიკოს-ჩინოვნიკებს** და **არა პრაქტიკანტ მეურნეებს**. კარგადაც რომ იყოს რუსეთის სკოლებში დაყენებული პრაქტიკული მეურნეობა, იქ ნასწავლები მაინც არ გამოდგებიან ჩვენი სამეურნეო სკოლების მასწავლებლად, რადგან რუსეთის ჰავა, მიწის თვისება და სამეურნეო კულტურა სულ სხვაა და საქართველოსი კიდევ სულ სხვა. მცოდნე მეურნეს კი უნდა ჰქონდეს კარგად გაცნობილი და შესწავლილი ადგილობრივი ჰავა, ნიადაგი, მცენარეთა კულტურა, ხალხის ზნე-ჩვეულება, ბაზარის ვითარება და სხ. მას უნდა ჰქონდეს ნაცადი ადგილობრივ ყოველივე მცენარე, ხეხილია იგი, ვაზი თუ ჭირნახული მას უნდა ჰქონდეს ნაცადი ადგილობრივ თვითეულს მცენარეზე საუკეთესო მეცნიერული მეთოდები და საუკეთესო სამეურნეო იარაღები. არის კი ჩვენში ასეთი მეურნე? გვყავს კი სამეურნეო სკოლებში ასეთი მცოდნე მასწავლებელი?

ადვილი მისახვედრია თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთ სამეურნეო სკოლებს. და შედეგიც თვალწინა გვაქვს. ჩვენს სამეურნეო სკოლებში სწავლა დამთავრებულთა 95% გაურბის სოფელს და ხდებიან დაბა ქალაქებში მასწავლებლად უბრალო მწერლად, ჩინოვნიკად და მხოლოდ 5% თუ რჩება სოფლად, ისიც შემთხვევით და იძულებით. აგერ 20-30 წელია, რაც არსებობენ ჩვენში სამეურნეო სკოლები და ვერ ნახავ ვერსად, რომ მათში ნასწავლს რაიმე კვალი დაემჩნიოს სოფლად, რაიმე სასარგებლო გაეკეთებინოს. რად ხდება ასე? ამის მიზეზი? მიზეზიც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ: **ჩვენი სამეურნეო სკოლები უვარგისი ტიპისაა, ადგილობრივ პირობებთან შედარებით მოუმზადებელი და შეუფერებელი მასწავლებელნი.** მათში არიან, ეჭვი არაა, თითო-ოროლა ნიჭიერი და მცოდნე პირი, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

ენა და **მიწა** ერის ცხოვრების **საფუძველია.** თუ ერი ჰკარგავს ორთავეს, ჰკარგავს **ყველაფერს:** ის იმსხვრევა, ის იქცევა **არარად**. ჩვენ, ქართველები საუბედუროდ მტრულად ვექცევით როგორც ჩვეს ძვირფას ენას, ისე ჩვენს მდიდარს მრავალ ნაყოფიერ მიწა-მამულს. ამით ვხდებით სამშობლოს წინაშე საზიზღარი მოღალატენი, ამით ჩვენი ხელით ვითხრით სამარეს, ამით ვუახლოვდებით უძირო ხრამს დასალუპავად.

ზღაპრული ანტეი იქამდე იყო უძლეველი, სანამ ფეხი ედგა მიწაზე და გაჰქუქეს მხოლოდ მაშინ, როცა მოაშორეს მიწას. ასეა ყოველი ერიც. ერის ძლიერება და უკვდავება **მიწაშია.** გამოაცალე ფეხიდან ნიადაგი, მოაშორე თავის მიწას და ერიც მოკვდება. ლაღი, მედგარი და უძლეველი იყო საქართველო, ქართველი ერი, სანამ მას უყვარდა თავის მამული, სანამ ეს ერი ქალიან კაციანად მისდევდა მეურნეობას.

დღეს კი რასა ვხედავთ? ქართველმა თავად-აზნაურობამ ეს ერთი საუკუნეა რაც შეიძულა თავის მარჩენელი, თავის წინაპართა სისხლით მორწყული მიწა. გაურბის მას, ჰყიდის და ჰკარგავს ამ ძვირფას მამულს გროშის ფასად, უგდებს ხელში ვილაც გადამთიელთ, ვილაც ვანქიდან და კოსტრომიდან მოსულებს და მით სამარეს უთხრის როგორც თავის თავს, მთელ წოდებას, ისე სრულიად ქართველ ერს. ამგვარი საქციელით ჩვენი თავად-აზნაურები ხდებიან ნებით თუ უნებლიედ მოღალატენი, სრულიად საქართველოს მთელი ქართველი ერის წინაშე. საკვირველია რომ ამ საშინელ დანაშაულს ვერ გრძნობენ ისინი. შეგვეძლო აქ დაგვესახელებინა რამდენიმე ქართველი დიდი გვარი, რომელთაც მიჰყიდეს გროშის ფასად თავისი უზარმაზარი მიწა-მამულები ვილაც გადამთიელთ. ამ რიგად დაგლიჯეს თავისი საკუთარი დედა, თავისი სამშობლო და დაურიგეს შესაჭმელად საქართველოს მტრებს... არც ერთ აზიის მტარვალს არ მოუხდენია ის საქართველოში, რაც ჩაიდანეს ამ 60 წლის განმავლობაში ჩვენმა ბრწყინვალე თავადებმა. საშინელება იქნება მათზე მსჯავრი ისტორიისა.

თავად-აზნაურობას, სავალალოდ, ამ ბოლო დროს მიბაძა ქართველმა გლეხობამ. ამათაც შეიძულეს თავის მარჩენალი მიწა, ამათაც იბრუნეს პირი სოფლიდან. ნიჭიერი და მეტადრე სოფლის სკოლებში ნასწავლი გლეხის შვილები სტოვებენ მიწას, სოფელს, მეურნეობას, გარბიან დაბა-ქალაქებში და იქ ხდებიან უბრალო მუშებად მზარეულ ფარეშებად და ხანდახან ავაზაკ-ჯიბგირებადაც კი.

რად შეიძულა მიწა ქართველმა? რად გაურბის მას? რად ჰკარგავს მამულს? რად ასახლებს შიგ ვილაც უცხოელებს და იღუპავს თავსა?

ამის მიზეზი ბევრია, ძლიერ ბევრი!.. ამ მიზეზთა ახსნა და განხილვა წაგვიყვანდა მეტად შორს. აქ უადგილობის გამო ვერ შევჩერდებით ამაზე. მოკლედ კი ჩამოვთვლი უმთავრეს მიზეზებს: 1. **ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების** უკეთესმართ იპირობა-

ნი, რომელშიაც ჩავარდა ქართველი ერი წარსულ საუკუნის დამდეგს. **2 ჩვენი მოუმზადებლობა, უვიცობა და კულტურული ჩამორჩენა 3. ერობის და იაფი სამეურნეო სესხის უქონლობა. 4. მიწების გამოფიტვა ერთგვარი კულტურით. 5. ტყეების გაჩეხვის გამო მთა-გორაკებზე ღელე-მდინარეების საშინელი ადიდება, ყანების და ბაღების წალეკვა, სეტყვის გახშირება და იმავე მიზეზით ხშირი გვალვები და მიწის ნოყიერების შემცირება. 6. წვრილი სესხის უქონლობა სოფლად, სოფლის დავალიანება და ჩარჩების თავისუფალი თარეში. 7. სოფლის გლეხობის უმწეო მდგომარეობა და სოფლის ადმინისტრაციის სრული თვითნებობა** და 8. **შესაფერისი სამეურნეო ცოდნის უქონლობა.**

ქართველ გლეხსა და აზნაურს შეაყვარებენ მიწას და მეოჯახობას **ერობა, სამეურნეო ცოდნა,** იაფი **სამეურნეო** (სამელიორაციო) **სესხი, წვრილი კრედიტი, სამეურნეო კოოპერატივები** და **სოფლის ინტელიგენცია** რომელიც უმთავრესად იქნება ყოველივე ამის შემქმნელი. ვინ მოგვცემს ამ სიფლის ინტელიგენციას თუ არა მცოდნე მეურნენი! სად არიან ისინი?

დავუბრუნდეთ საგანს. ერთი უმთავრესი აგენტი, რომელიც ქართველს შეაყვარებს მიწას არის **სამეურნეო ცოდნა.** დღეს ჩვენი გლეხი მუშაობს ფარნაოზ მეფის დროინდელ გუთნით, კავით, ფარცხით და კევრით; მიწის სივიწროვემ და გამოფიტვამ გლეხს გაუჭირა ცხოვრება. ქართლში ბევრ ალაგას ერთ კოდ დათესილ პურზე მოდის მხოლოდ **2-3 კოდი** და ხანდახან ისიც არა. გუთანს კი უნდა შეუბან 7-8 უღელი ხარ-კამეჩი. საღი სამეურნეო ცოდნა ქართველს მიაჩვევს საუკეთესო იარაღებით მუშაობას, მიწის გაპოხიერებას ხელოვნური და ბუნებრივი სასუქით, უკეთესი თესლის დათესვას, საუკეთესო ჯიშის ვაზის და ხეხილის მოშენებას, საუკეთესო ჯიშის ოთხფეხ საქონლის და შინაურ ფრინველის გამრავლებას და სხ. ამ რიგად გლეხის შრომის ნაყოფიერება და შემოსავალი იმატებს ერთი სამად და ერთი ოთხად. აგრეთვე იმატებს მიწის მოსავალიც. ეს კი ქართველ მუშაკს წასწევს წინ ნივთიერად, შეაყვარებს შრომას და მიწას.

მდიდარია და მრავალ ფეროვანი საქართველოს ბუნება, სხვა და სხვა ნაყოფის მომცემია ჩვენი მიწები. ნეტა რა არ მოდის ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში! პური, სიმინდი, ლომი, ღვინო, ბამბა, თამბაქო, ჩაი, აბრეშუმი, დაფნა, ბოსტნეული და სხვა. ერთ მხარეში რომ უმთავრესად მოდის პური, მეორეში სიმინდი, მესამე და მეოთხე კუთხე განთქმულია საუკეთესო ხილით, მეხუთე და მეექვსე ღვინით, მერვე მეცხრე და მეათე ბამბით, აბრეშუმით, ჩაით, თამბაქოთი და სხ. ამიტომ **საქართველოს** სხვა და სხვა მხარეში უნდა დაარსდეს ისეთი ტიპის სკოლები, რომლებიც შეეფერება იმ კუთხეებს. მაგ., კახეთსა და ზემო იმერეთში უმთავრესად მევენახეობა-მეღვინეობის სკოლები, ქვემო იმერეთსა და გურია-სამეგრელოში მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის და ჭირნახულის მოყვანის. ქართლის ზოგიერთ მხარეებში და ოკრიბა-ლეჩხუმში ბაღოსნობის სკოლები, სვანეთისა და თუშ ფშავ-ხევსურეთში საქონლის მოშენების და ერბო-ყველის კეთების სკოლები და სხ.

ეს სკოლები უნდა იყვეს უსათუოდ **დაბალი ტიპისა, წმინდა პრაქტიკული.** ამათ ეძახიან **სკოლა-ფერმებს.** ამ სკოლებში სწავლა და ახსნა უნდა სწარმოებდეს **ქართულ ენაზე.** ამ სკოლებში მიიღებიან 15-20 წლის ყმაწვილები წერა-კითხვის მცოდნენი. ან ისეთები რომელთაც დაუმთავრებიათ სოფლის სკოლა. ამ სკოლებში სწავლა და პრაქტიკული მუშაობა უნდა სწარმოებდეს გამოცდილ სპეციალისტების ხელმძღვანელობით. სწავლა-ვარჯიშობის კურსია **სამი წელიწადი.** სამი წლის განმავლობაში ყმაწვილები მუშაობენ ამ ფერმა სკოლაში მცოდნე მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ვარჯიშობენ, სცდიან და სწავლობენ **პრაქტიკულად** მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, ე. ი ერთ ალაგს მებაღეობას, მეორე ალაგს მევენახობა-მეღვინეობას, მესამე ალაგს მეაბრეშუმეობას და სხ. სკოლას დათმობილი აქვს საკმაო დიდი ადგილი ანუ **ფერმა** და აქვს **ოჯახური ხასიათი.** თვით მასწავლებელი მუშაობის დროს, უხსნის მოწაფეებს მეურნეობის თეორიას, ამა თუ იმ მცენარის კულტურას, სამეურნეო იარაღების ხმარებას, ამა თუ იმ სამეურნეო დარგის მნიშვნელობას იმ მხარეში, სამეურნეო ნაწარმოების გასაღებას, ბაზრის ვითარებას, სამეურნეო იარაღების რემონტს სამჭედლოში და სხ.

როგორც ვთქვით, სკოლა-ფერმა წარმოადგენს ოჯახს, იქ არა მარტო სწავლობენ მოწაფენი, არამედ მოჰყავთ ჭირნახული, ღვინო, ხილი, ბამბა, თამბაქო, ჩაი, აბრეშუმი და ამ სამეურნეო ნაწარმოებს ჰყიდიან ან ადგილობრივ, ან გააქვთ ქალაქებში. ამ რიგად სკოლას აქვს შემოსავალი, რითაც არა იშვიათად ჰფარავს თავის ხარჯებს. ამიტომ ამგვარი სკოლის შენახვა მეტად იაფი უჯდება სო-

ფელს ან მთავრობას. მხოლოდ პირველ წლებში ეჭირვება მას დახმარება, თორემ შემდეგ თვითონ შეინახავს თავს, მით უმეტეს, რომ აქვს დათმობილი საკმაო მიწა და ჰყავს უფასო მუშა ხელი, ე. ი. მოწაფენი, რომელთა რიცხვი თითო სკოლაში შეიძლება 30-დან 60 დე იყვეს. მასწავლებელი კი თვითეულ სკოლაში შეიძლება იყვეს ერთი ან ორი; იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ დარგს ეჭნება დათმობილი უმთავრესი ყურადღება ამა თუ იმ ფერმა-სკოლაში.

ამგვარ სკოლაში ნასწავლ-ნავარჯიშევი მოწაფე, ეჭვი არაა, რჩება ისევ სოფლად, ჰკიდებს ხელს მეოჯახეობას და აწარმოებს მეურნეობის იმ დარგს, რომელიც ისე კარგად შეისწავლა სკოლა-ფერმაში და რომლის წარმოება უფრო ხელსაყრელია იმ მხარეში. ასეთი მოწაფენი ხდებიან სოფლის მეურნეებად და კავშირს არა სწყვეტენ თავის სკოლასთან და მასწავლებელთან, საჭიროების დროს ჰკითხავენ რჩევას და აგრეთვე ეწევიან სკოლას ამა თუ იმ საქმეში. ამრიგად თანდათან ინასკვება მჭიდრო კავშირი სკოლასა და სოფლის მეურნეთა შორის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის კეთილდღეობისათვის. იგივე სკოლა-ფერმის მასწავლებელნი სოფლის შეგნებულ პირთა დახმარებით აარსებენ სოფლად სამეურნეო იარაღების, ვაზის წამლის და ხელოვნურ სასუქის საწყობს, წვრილ კრედიტს, კოოპერატივებს, ხელს უწყობენ სოფლად სარწყავ არხების გაყვანას, ჭაობების დაშრობას, მდინარის ნაპირების გამაგრებას და სხ. —აი სწორედ ასეთ სამეურნეო სკოლის, ასეთ პრაქტიკულ სკოლა-ფერმის დაარსება განიზრახეს ს. ახალქალაქში თ-დ თარხან-მოურავებმა. და ამ პირველ სამაგალითო სამეურნეო სკოლას ერქმევა **დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სახელი**. უკეთესი ძეგლი წარმოუდგენელია. უდიდესი გმირის ერთად ერთი ზრუნვა იყო საქართველოს აღორძინება და თავისუფლება. ჩვენი ერის ხსნაც ახლა უმთავრესად **მეურნეობაშია**. შრომის წარმოების აღორძინება, სამეურნეო ტეხნიკის განვითარება,—აი რა ააყვავებს სოფელს ნივთიერად, აი რა შეაყვარებს ქართველს მიწას, მამულს და თავის სამშობლოს, აი რა მისცემს მთელ ერს ნივთიერ და სულიერ ძალას და მიაღწევინებს სასურველ მიზანს!.. —აქ ვერ ვიტყვი დანამდვილებით თუ რა ტიპის ფერმა-სკოლაა საჭირო ს. ახალქალაქში, რადგან არ ვიცნობ კარგად ადგილობრივ პირობებს, ამიტომ ვერ აღვნიშნავ აქ ამ სკოლის პროგრამას.*) ამისათვის საჭიროა აირჩეს კომისია მცოდნე პირთაგან. აქ კი ვიტყვი, რომ ამ ფრიად სიმპატიურ და სამაგალითო საქმეში ზნეობრივად ვალდებულ[illegible] დაეხმაროან თ-დ თარხნიშვილებს ქართლის [illegible]-აზნაურობა, თბილისის სააზნაურო ბანკი და იკისრონ პირველ ხანად ამ სკოლის ხარჯები, ხოლო ამ სკოლას საჭირო მიწა უნდა დაუთმონ თვით თ-დ თარხან-მოურავებმა.—ასეთი ტიპის ფერმა სკოლა სასურველია დაარსდეს არამც თუ მარტო ს. ახალქალაქში, არამედ ამ ტიპის სკოლებით უნდა გაივსოს მთელი საქართველო, საქართველოს ყოველი კუთხე და ხეობა. საჭიროა დაარსდეს ორი მაინც ასეთი ტიპის **საშუალო სასწავლებელი**. ერთი ევერიაში, მეორე კი კოლხიდაში, საიდანაც გამოვლენ მცოდნე მასწავლებელნი დაბალი ტიპის სკოლებისათვის.

ჩვენ გულითა დ სულით ვეგებებით თარხან-მოურავების ფრიად სიმპატიურ განზრახვას და უსურვებთ მალე დაეარსებინოთ იმ ტიპის სკოლა, რომელიც ყველაზე უფრო ეჭირვება ჩვენს ქვეყანას. მინდა ვირწმუნო, რომ ეს სკოლა გახდეს პირველი პიონერი და სამეურნეო ცოდნის პრაქტიკულად გამავრცელებელი ქართლის ერთ უუმშვენიერეს კუთხეში. ეს სკოლა იქნება საუკეთესო ძეგლი საქართველოს უდიდეს გმირის გიორგი სააკაძისა. მხოლოდ ამით შეიძლება შესაფერი პატივი სცენ თ. თარხან-მოურავებმა თავის დიდებულ წინაპარს.

31/VIII—913 წ. **სიმონ ქვარიანი.**
ქობულეთი.

შემოდგომა

შემოდგომა თმების წეწვით
დატირა ცივმა ქარმა —
მოდი გული ვისაც გეწვით
ნახეთ რა ჰქნა მკაცრ ზამთარმა.

ნახეთ ტყე ვით გაძარცულა
ტყე ვით მოლთქვამს, ვით ქვითინებს
ქარის ფრთები ღრუბლის ქულას
ორწოხებშიც არ აძინებს.

---

*) ეს რაიონი განსაკუთრებით მეხილეობისა და მვბალეობისა არის.

ვერც იპოვით ტყეში ჩრდილებს
ისე შიშვლად სდგას ნაძვნარი,
ნისლებსაც ფრთებ დაკეცილებს
შორს მიაფრენს ნიავქარი.

ტყემ რაც ცრემლი დააფრქვია
ვინ ჩამოსთვლის, ვინ აღნუსხავს
ცას ფოლადი გადაჭკვრია
მთას კი ბროლი წამოუსხამს.

თმა-ფაფარი ვერცხლის ჩქერის,
ვინ აშალა, ვინ აწეწა?—
ნეტავ ტყეში ვინა მღერის,
როცა გლოვობს მაღლა ზეცა?!

ტყე ხმას კმიდავს, როცა ქარი
სადღაც ხევში დაიძინებს,
ამ დროს ვიღაც ულრან ტევრში
უფერულს რამ ლექსს ღიღინებს.

ტყე-ტყე დადის, ტყე-ტყე მღერის
თანაც აჩენს თეთრ-თეთრ კბილებს
და ნაცრისფერ თვის ხალათზე
ზლაზვნით იბნევს წყლისფერ ღილებს.

კ. აბაშისპირელი.

შაბიამანი!..

(მოთხრობა ფრანსუა კოპპესი)

დმერთო! რა საშინელი ბოროტი სიხის გამომეტეველება აქვს ამ დედაკაცს, რომელიც ბნელს, ვიწრო ქუჩის კუთხეში მიმალულა.

მისი თვალები მრისხანედ გამოელვარებენ, გული მძულვარებით და ბოროტებით სავსე აქვს. ათრთოლებულს ხელში შელახია შავ ნაჭუჭ ხელსახოც გადაფარებული შაბიამანით სავსე თუნუქის ყუთი ეჭირა. ქუჩის მეორე მხარე უავხანა „ეროგრესის“ ფანჯრებიდან გამოსცურ სინათლით იყო განათებული. ამ უავხანაში მუდამ ორი ბილიარდი იდგა; რომლებზედაც თითო ხელი თამაშობა 25 სანტიმი დირდა; შაბათობით შეგეძლოთ გეშოგნათ სანელებლით სავსე ციცვად მოხარშული მოელი ქათმი, კარებზედ გაზის რქა მოსჩანდა, გაზს ანთებდნენ კვირის გარდა ოვეში ორჯელ, ოსუომეტსა და ოცდა-ათს რიცხვებში; ეოგელთვის, როცა კი უავხანის კარები გაიღებოდა, არეული ხმაურობა ისმოდა, სიცილი, ბილიარდის ჯოხების ცემა. ანტოლი იქ არის, შელახიამ ეს კარგად იცის; ანტოლი დურგალი არის, რომელსაც შელახია შეცდინა წარსულს გაზაფხულს, ბირობა მისცა შეგიერთავო და ოთხის თვის ორსულს თავი დასცა; აგერ ეხლა ის ოცის წლისაა და აქამდის მისი ბატონსნება არავერს შეუბღალავს, ის მუდამ ბატონასული ქალი იყო და გაგიჟებით უყვარდა ანატოლი, მერე რისთვის? განა იმისთვის, რომ ბულვარზე მოხეტიალეს-ეტეკვნა უკან. გუშინ საღამოს მელანია მ ვიდა ანატოლთან, შესტირა, ბევრს ემუდარა, მაგრამ ის მეტად სასტიკი იყო

— ჩე მგონი მეორე გიპასუხე...

მიუგო ანატოლიმ.

—ბავშვი შენია!.. განა მარტო ჩემგან გეყოლა?

დიახ, ესეც აკადრა! სამაგიეროდ იმას იმდენადვე სძულს ანატოლი, რამდენადაც წინად უყვარდა და მაგიერსაც გადაუხდის? მაგრამ, როგორ კარგად მოეწყობოდნენ, ანატოლის რომ მოეხდომა, ისინი დაიწერდნენ სახლს ქალაქის განაპირად მეხუთე სართულში; იქიდან მოჩანს მინდორი და ცის დასავლეთზედ გაშლილი გორაკები. კრეპნერთან იყიდნენ სახლის ავეჯს ? შელახია სუფთად და ლაზათიანად მოუვლიდა თავის ბატარა ოჯახს. ის სრულიად არ ინანებდა. ანატოლი კარგი შუშა იყო, კარდა თავის ჩვეობისა ის სწორიდა ოქრის ვარაყს მარმალოდის ქვაზედ და დღეში თვრამეტ ფრანკამდის იღებდა სამუშაოში.

ახლა შელახიაც აიღებდა მაშინაზედ კერვით დღეში სამს ან ოთხს ფრანკს და სრულიად საგმირისი იქნებოდა ეს იმათთვის.

ვინ იცის იქნება რომ ანგარიშით ეცხოვრათ ხალხმიც კარეულიეგნენ, ფული შეეძინათ.

ანატოლს ახლა მოიკარადრე და ბატონიც გახდებოდა.

საუცხოვო ფიქრია. ბოლოს ისინი ბატონ-კაცურად იცხოვრებდნენ.

უყვდა ამის მაგიერად ის ეხლა ორსულია და ჩქარაც მოიდოკინებს.

ის კი „ბატონიგით“ უავხანაში ზის. ბილიარდის წინ კამოწკეზილა, საძრელი შარი აუდია, ჯოხი უკან შემოუდვია და ათიცერიგით კამოწიმული. იმან ეყოლა იცის. ბილიარდის თამაშობა კარგად გაეგება და არც თუ წაგებს.

გადაჭკრავს ამხანაგებთან, მოუკიდებს სიგარას და წავა ახალს, თვალებამდის კულულ ჩამოყრილ, ქერა თმიანი საყვარლის საძებნელად.

არა, შელახია ვერ ითმენს ასეთს დამცირებას.

მაგრამ არა!.. დამაზს ანატოლის არასოდეს არ დაავიწყდება მადლი შელახია. მას ნაშოვი აქვს შაბიამანი და უთვალთვალებს თავის მოდალატეს. როგორც კამოვა უავხანიდგან, ისე ცხვირ-პირში შეასხავს.

ეხლა მას ეზიზღება ანატოლის დამაზი სახე,

ამისი ბატარა ულვაშები, სახე გარეგნილისა, რომელმაც შეცდინა და ნამუსი აჭამა, ო! რა მხეცური სიამოვნებით ჩამოაკვრიდა მთელს სახეს რომ შეეძლოს!.. ამას ეხლა მხეცური სურვილი ამოქმედებს. დაუბატიმრებენ, მაინ უარესი! სამაგიეროდ ახატოდი მაინც ვედარ ამარცხებს ძველებურად თავისს თეთრ ხალათსა და თავზედ კოხტად მოგდებულ ქუდში გამოწყობილი. ამ უბანში თავისებურად თვალს ვედარავის ჩაუკრავს და ვედარც თუ გულს დაიმორჩილებს. ის, სახე დამწვარი და უსინათლო დარჩება ნე გეშინიან, მაშინ ადარ დაგიწყებენ ლეკვის ქალები, გესმის, უსინიდისო!

შერის ძიებით გატაცებული მელანია ჭეგრინობს სურვილს მოძრაობისას რამდენიმე წამით თავი დაუნება ამ ადგილს, სიალგანად უოვლთვალებდა და ფილაქან ფენილზედ დაიწყო სიარული.

მელანიას უცბად ვიღაც მოწყენილი ხმა მოესმა:

— სალამი მშვიდობისა მელანია! მელანია შეკრთა, თითქოს მძინარე გამოადვიძესო; სალამის მიმცემი მისი მეზობელი მამა ვიქტორი ადმოჩნდა, ვიქტორს თავისი ბატარა ქალი მიჰყვანდა, რომელსაც მკლავზედ დასძინებოდა.

ვიქტორი კეთილი კაცი არის, კარგი მუშა და თავისს დღეში არავერს გემოთ არ ნახავს, და არც ცუდის ზნეობის ხმა აქვს დაგდებული. მხოლოდ ამისი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ გვიან დაიწერა ჯვარი და ცოლად შეირთო გიჟისაგი უმაწვილი ქალი, რომელმაც მალე თავი დაანება და ცუდს გზას დაადგა. სწორედ შესაბრალისია! სულ ორმოცის წლისაა და გათეთრებულია. ამიტომაც ეგელა მამა ვიქტორს უძახის, მართლაც ის მარტო თავის ბატარა ქალისათვის ცხოვრობს, ამიტომ იგი ეგელას ეყვარს და ბატივსაც - სცემენ.

ამ შეხვედრამ დაუფიქრა მელანია. ხომ ამათ ორივეს ერთი და იგივე დარდი აქვთ.

მამა ვიქტორი ჭორებს არ მაინდვეს და არც თუ იცის, რომ მელანიას საყვარელი ჰყოლია. რაც გინდა გვიან დაწოლილიეო დასაძინებლად მამა ვიქტორი, იმას მუდამ ესმოდა ხოლმე, როგორ გვიანობამდის მუშაობდა საკერავ მაბინაზედ მელანია. იმას გულწრფელი ბატივის ცემა აქვს ამ შრომის მოყვარე ქალისა.— მაშ აგრე, მელანია, თქვენც ჩვენსავით გამოგისეირნიათ, ვიდრე დაიძინებდეთ... ჰხედავთ ჩემს ეორეტას და ვიქტორი მძინარე ბავშვს ჩაიცქერდა თვალებში,—ჩემი ეორეტა ამასობაში გამოიძინებს კიდეც, ვგონებ.

და აგერ ვიქტორმა დახარა თავი და ნაზად აკოცა ეორეტას ხუჭუჭს თმაზედ, რომელიც გაჭუჭყიანებულს სამუშაო ხალათზედ გადაჭაღნოდა მამა ვიქტორს.

მელანიამ რაღაც იგრძნო. ისიც ხომ მალე დედა იქნება.

— როგორ ძალიან გიყვართ ეორეტა?!

— ხომ იცით, რომ ამის მეტი არავინა მყავს. მაგრამ მარტოხელი გაცისათვის ბავშვის აღზრდა მაინც ძნელია... არა უშავს-რა, ეხლა მას თავს [illegible] და მეც კისწავლე ძიძობა.

მელანიამ რომ ეს კეთილი მამა, ბატიოსანი და ამაგე დროს უბედური კაცი დაინახა, იგრძნო რომ რაგორღაც დამშვიდდა.

დიაღ! ის ბედს უნდა დაემორჩილოს, ამრიგად ეცოცხლოს თავის მომავლის ბავშვისათვის,—იფიქრა მელანიამ.

მას შეეძლო ასე მოქცეულიეო, და ასეც უნდა მოქცეულიეო... მაგრამ ამ ერთ დროს ანატოლი!.. არა,არა, მელანიამ უფრო მაგრად მიიკრა მაბიამანით სავსე ეეოი გულთან და უცბად და ამნეულად ჩაეკითხა ვიქტორს:

— მამა ვიქტორ, თქვენ იმდენი სიმწარე და ბოროტი მოგვეკენეს და ნუ თუ თქვენ არასოდეს ეი ფიქრად არ მოგსვლიათ შური ეძიოთ?

ვიქტორი მელანიას გაკვირვებული შესცქერიდა.

შური ვეძიოთ? — არასოდეს!.. მე სულ სხვა გასაზრახვა მქონდა, არც ის იეო კარგი, მაგრამ დავსძლიე. ხომ ჭეხედავთ, ქალბატონო მელანია, ზოგიერთნი, რომელნაც მათ შეურაცხყოფენ, სცდილობენ მოჰკლან, შური ეძიონ; მე-კი, რომელსაც ცოლი გამექცა, სიკვდილიდა მენატრებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელი იეო, ბავშვის გამო... ეხლა კი ეს ჩემი ნუგეშია.

მელანიას გული რადაცა გაუგებარის გრძნობით აევსო, თვალებზედ ცრემლი მოედინა. ლამაზი ანატოლი-კი ისევ ეკვეხნაში არის და ბილიარდის ბარტიას ათავებს დამშვიდებული. მელანია-კი, დაგიწყებული, განდევნილი, შურს ადარ ეძიებს. მაგრამ მელანიას ეხლა მერცხვა თავისი განზრახვისა, ჭრცხვენიან ამ საზარელის ეეთისა, რომელიც მას იდდიას ქვეშ უჭირავს.

ეხლა-კი დროა წასვლისა, სთქვა მამა ვიქტორმა და თავისი ძალისაგან დამძიმებული ბავშვი მალდა ასწია მზრუნველ დედასა და ძიძასავით...

— ჩემი ეორეტა ბატარა ადარ არის, ჩქარა ოთხის წლისა იქნება.—მშვიდობით, ქალბატონო მელანია!

— არა მოიცადეთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ, სიჩქარად მიეგო მელანიამ. თქვენ წადით წინ და მეც ეხლავე დაგეწევით, აი აქ დუქანში შევიარებს სანთლის სასეიდლად.

ერთს წამს მელანია სახლის კუთხეს მიეფარა, ჩაუშვა მაბიამანი წყლის მალში და ეეთიც შიგ ჩააგდო. მერე აჩქარებულის ნაბიჯით გამოეკიდა ვიქტორს და თავისუფლად გაეწოდა თავისი შეუბღალავი ხელები და ბედნიერების სიხარბით მიჭმართა.

— მაშა ჯიქტორ, ოქვენ, ვგონებ, დაიდადეთ ყორეფეტას ტარებით. მოგმახდეთ მე ერთს წამს, ნუ გეშინიანთ შეგიძლებ მაგის მოგლას.

ოლ. ბეჟ-აგლაძისა.

საზარელი დღეები

ქართული პრესა საზარელ დღეებს განიცდის.

ბრწყინვალე ქართველ მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო ატეხილი ლანძღვა-გინება, მისი ხსოვნის შეურაცხყოფა და ლაფში თრევა ყოველ საზღვარს გადავიდა და საზარლად ახასიათებს დღევანდელ ჩვენს ჟურნალიზმს. ქართულ ჟურნალიზმს გზა აებნა, და აბნეული რევს ქვეყანას, საზოგადოებრივ აზრს; თეთრს უჩვენებს შავად, წითელს თეთრად.

რუსულ თონეში გამოცხობილმა „სოციალიზმმა“ შეკმაზა ქართული ცხოვრება და ბნედიანად, უგზო უკვლოდ, ქვეყანაზედ დათარეშობს, გააქვს გამოაქვს და ფეხ ქვეშ სთელავს პატარა ისტორიულ ქართველ ერის წმინდა იდეალებს. დღევანდელ ქართულ ცხოვრების გმირები ზიპო წკიპურტაძეები და ფილიპე მახარაძეები მზად არიან საქართველოს ყველა წმინდა საფლავები გაქექონ და გვამებიც ჰაერში გაანიავონ. გაიგდეს წინ გულუბრყვილო მდაბიო ხალხი, აწერინებენ რაღაც უსირცხვო და სამასხარაო „პროტესტებს“, თავის ულნეო დანაშაულის დასაფარავად. აი ინებეთ გაზ. „განთიადში“ და „სიმართლის ხმაში“ დაბეჭდილი „წერილები“:

ბაქო. ჩვენ, ბაქოს კანდუქტორთა ბრიგადის ერთი ნაწილი, სალამს ვუძღვნით ამ პროტესტანტებს. სალამი თქვენდა საზოგადოების გათვითცნობიერებულნო წევრნო, სალამი თქვენდა უსირცხვილო და დუხჭირ „მამულიშვილთა“ ბიერ ბრმა იარაღებად წოდებულნო, ხმა თქვენი მალამოა უმართლოდ დევნილთა და წამებულთათვის. ხმა თქვენი სიმართლეა, თავზარ დამცემი იმ ვაჟბატონთათვის, რომლებიც ექვსი წლის განმავლობაში ურცხვად ვაჭრობენ დიდებული მგოსნის სისხლით. ხმა თქვენი არ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, არამედ ისმინა იგი დამჩაგვრელ-დაჩაგრულმა. ერთი თუ განკურნა დაუმსახურებელი ტკივილებისაგან, მეორე სასიკვდილოდ დასჭრა. ჩვენც, თქვენთან ერთად, ვკიცხავთ და ხიხლს ვუგზავნით „სახალხო გაზეთს“ „იმერეთს“ „მიუკვლომელ“ „თემს“ და გზა დაბნეულ „კლდეს“.

ი. მახარაძე, ბ. ჩხენკელი, ი. [illegible] ნეტ-ძე, პ. მარიქველიძე, ალ. გველესიანი, ვ. ფხუტური. ვ. გოგოძე, დ. ნიკურაძე, ი. გოგუაძე, ვ. ცქიტიშვილი, კ. ლექავა და დ. ნიკურაძე.

ქუთაისი ჩვენ, სადგურ ქუთაისის ბუფეტში მოსამსახურენიც ვუერთდებით სხვების გულის წყრომას და ვუცხადებთ პროტესტს „სახ. გაზ.“, „თემს“, და ქუჩის მასხარა „იმერეთს“ უმსგავსო ცილისწამებისათვის.

ხელს ვაწერთ ოთხი კაცი.

მაგრამ ბ. მახარაძეს საქციელს „ბაქოს კანდუქტორთა ბრიგადის ერთი ნაწილი“ და „ოთხი მებუფეტე“ ვერ გაამართლებენ, რადგანაც მეორე ნაწილი—ქართველი ერი რომელიც დღეს ჩუმად არის, ხვალ მას ნამდვილს ალაგს უჩვენებს.

— —

საზოგადოთ მუშები დღეს ძალიან მოდაში არიან. „სახალხო გაზეთმაც“ ს.-დ. პროტესტებზედ თავისი პროტესტანტი მუშები გამოიყვანა: ტრამვაისა, სტამბისა, მკერვალნი, საზ. „კახეთისა“ და სხვა. და დაიწყო ორ გუბერნიამ წერა. კითხულობს კი საწყალი ქართველი მკითხველი და ილაჯ გაწყვეტილი შეჰყურებს ამ უთავ-ბოლო პროტესტების განგაშს და ფიქრობს რისთვის არის ყველაფერი ეს და ვისთვისა? ილია ჭავჭავაძე არ გაცოცხლდება, ქართველ ერს არაფერი შეეშატება და ფ. მახარაძე არ გამოიცვლება.

ბოლო კი უსათუოდ უჭკუო გამოუჩნდებოდა ამ საქმეს და მართლაც აი რა შესაფერისი ბოლო გამოუნახა ამ ომიანობას გაზ. „თემმა“:

„ამიტომ მოგმართავთ წინადადებით: ჩვენ შორის ატეხილი დავა და კამათი, აგრეთვე ამ დროს ხმარებული საბრძოლველ საშუალებათა შეფასება განსახილველად და აზრის გამოსათქმელად გადავცეთ ან სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე ფრაქციებს ან და ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ „ზავეტის“ და „სოვრემენი მირის“ „სევერნი ზაპისკების“ რედაქციებს; ყველა მასალა, რასაკვირველია, უნდა ახლავე გადავთარგმნოთ რუსულად და წარუდგინოთ მათ.

სხვა გზის არჩევა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, **ჩვენის აზრით**“.

მაშ გადავთარგმნოთ რუსულად ფ. მახარაძის მარგალიტები, „ბაქოს კონდუქტორთა ბრიგადის ერ-

თი ნაწილის'' და ,,ქუთაისის ოთხი მებუფეტის'' წერილები და ვლ. კოროლენკოს წარუდგინოთო!

ის გაარჩევს ვინ იყო დამნაშავე — ილია ჭავჭავაძე, ფ. მახარაძე თუ საწყალი ქართველი ერი.!!

ჩვენის აზრითაც ეს საუცხოვო დაგვირგვინებაა დღევანდელ ქართულ პრესის ეროვნულ შინაარსისა და ავტორიტეტისა! ვატმანების, კანდუქტორების, მებუფეტეების ქვეყნის ხელმძღვანელობა ბევრჯელ არც ისე სასარგებლოა.

ქართული პრესა საზარელ დღეებს განიცდის.

ეკალი.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(30 წლის იუბილეის გამო).

თუმცა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა დღესასწაული გადაიხადოს 29 ენკენისთვეს, მაგრამ სკოლის დამაარსებელმა და მზრუნველმა ბატონმა ილია წინამძღვრიშვილმა 1 ამ ენკენისთვეს 30 წლის თავზე მოისურვა ამ დღის აღნიშვნა. ოთხშაბათს დილის ხუთ საათზე ბ-ნ ილიასთან ერთად გავემგზავრეთ სოფ. წინამძღვარიანთ-კარში. ცხრის ნახევარზე უკვე იქ ვიყავით. მწარის ნაღველით სავსე, ქუდ მოხდილი გავიარეთ შავი ხის ჯვართან, სადაც უკანასკნელად ამოისუნთქა სკოლის მეგობარმა უკვდავმა ილიამ...

11 საათზე სკოლის ეკლესია გაივსო მოწაფეებით და ადგილობრივი მცხოვრებით. სკოლის მღვდელმა მამა ჯალიაშვილმა გადაიხადა ჯერ პანაშვიდი და მერე სამადლობელი პარაკლისი. პანაშვიდი გადავუხადეთ და მადლობით მოვიხსენიეთ აწ განსვენებულნი სკოლის გულწრფელი მეგობარნი:

ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი სტაროსელსკი, ილია ოქროშჭედლიშვილი-სერებრიაკოვი, ვიკტორ გაევსკი, ივანე ხატისოვი, არტემ მირაქოვი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, მიხეილ ბებუთოვი, ევგენი ბელოი, დავით სარაჯიშვილი და ყოფილი გამგე სკოლისა არქიპო ტყემალაძე.

შემდეგ პარაკლისისა, სკოლის გამგემ არსენ წითლიძემ დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა მოწაფეებს: „დღევანდელი დღე, ყმაწვილებო, ფრიად შესანიშნავია. დღეს ჩვენ სკოლას დაარსებიდან 30 წელიწადი უსრულდება. იშვიათმა ქართველმა, ბატონმა ილია წინამძღვრიშვილმა ამ 30 წლის განმავლობაში გაზარდა სასწავლებელი, გალამაზა და გააშენა. დაარსებისა [illegible] 30 წლის წინად, აი აქ, მეორე იშვიათმა და დიდებულმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ გლეხებისადმი მიმართულ თავის უკვდავ სიტყვაში სთქვა: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა დედამიწას გული გადაუსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩაუდვა, ადამიანს უანდერძა — იშრომე, გაისარჯე, ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენ სადღეგრძელოდ მოიხმარეო. ჩვენში და თქვენგან გამიგონია, ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვობისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო“.

მართალია ჩვენი ქვეყანა ულეველი სიმდიდრით არის სავსე, ამ სიმდიდრეს მხოლოდ შესაფერი ცოდნით მოიხმარს კაცი. ამ შესაფერ ცოდნას აი ეს სკოლა იძლევა. დღეს ხსნა მხოლოდ მეურნეობაშია, მიწის გამოყენებაშია, მარტო მშრალი წერა-კითხვა ახლა არავის აკმაყოფილებს. ეს სკოლა და მისი დამაარსებელი, ბატონი ილია, რომელიც თქვენით, ბავშვებო, ჰხარობს, ბევრის მხრით არის საყვარელი, მაგრამ ყველაზე უფრო კიდევ იმით არის საგულისხმო, რომ თქვენ განათლებას და ყოველივე ცოდნას სამშობლო ენაზე ითვისებთ. ჩვენი იმედი თქვენზეა დამყარებული; აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება მოვალე ხართ სოფელში შეიტანოთ და ხალხს შრომა გაუადვილოთ თქვენის დახმარებით. 29 ამ თვეს სასიქადულოდ უნდა ვიღღესასწაულოთ 30 წლის თავი. მაშ, გაგიმარჯოთ თქვენც, ბატონო ილია, და თქვენც, ბავშვებო!“ — დაასრულა ბ. წითლიძემ.

ბატონი ილია დღესაც ისე, როგორც 30 წლის წინად, თავს ევლება ამ სკოლას, მითი სცხოვრობს, და დღე და ღამ მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. საკვირველი და გასაოცარია ამ კაცის ბუნება! 30 წელიწადი ასეთი მძიმე ტვირთი აეტარა და არ დაიღალა, განა ჩვენში მგზავსი რამ ვინმეს გაგიგონიათ!

მახსოვს 28 წლის წინად სწორედ 4 სექტემბერს, როცა ამ სკოლაში მიმაბარეს, ილია თავს ევლებოდა სკოლას, მის საჭიროებას ხედავდა, მასწავლებლებს და ბავშვებს შრომას ასწავლიდა, სიხარულს და უნარს ულერგავდა ყველას, ვინც გარეშემო ეხვია. და დღეს, როცა შევადარე ნახული 1885 წელს 4 სექტემბერი 1913 წელს ჭეშმარიტად

გაკვირვებული დავრჩი: ის დღესაც უკლებელი ენერგიით და რწმენით აკეთებს სკოლის საქმეებს.

აი ასეთ ადამიანს უნდა გადავუხადოთ ქართველებმა ღირსეული მადლობა ამ თვის 29-ს.

ოცდა ათი წლის წინად აქ მარტო ცარიელი მინდორი იყო და დღეს აქაურობა ქალაქსა ჰგავს —მრავალი საჭირო შენობით და ვეებერთელა ბაღით შემკობილი, ყოველივე ეს ერთი კაცის მადლიანი უნარით არის შექმნილი. მობრძანდით ბატონებო, ნახეთ და თითონ დარწმუნდებით, თუ რის გაკეთება შესძლებია ქართველი ხალხის მოყვარულ ადამიანს.

„ს. გ.“

სვიმონ ხუნდაძე.

ჩვენი სკოლის ბედ-იღბალი

ყოველ-წლივ უამრავი ლაპარაკია პრესაში, საზოგადოებაში თუ კრებებზედ ჩვენი სასკოლო საქმის უკეთესობისთვის მიმდინარეობაზედ.

ყოველ-წლივ სათ.-აზნაურო გიმნაზიის გამგეობისაგან მოწვეულ კრებაზედ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო კრებაზედ და სხ. იმართება სჯა-ბაასი საქმის გაუმჯობესებაზედ, მაგრამ სამოსწავლო ურემს ძრას ვერ ვუზავთ ხოლმე; ყველაფერი გაყინულია ერთ ძველთაგან შემოღებულ დონეზედ და რაიმე ახალი ჰანგები შიშსა ჰგვრის ძველ მამებს. წრეულს ეს შიშები და ახალი ჰანგებიც მეტი იქნება, რადგან ერთმა და მეორე საზოგადოებამაც თავისი კრებები გადაიტანა შემოდგომაზე, ე. ი. იმ დროზედ, როცა სკოლებში სწავლა უკვე დაწყებული იქნება და შეუძლებელი ხდება სულ მცირეოდენი ცვლილების შეტანაც კი.

მაგრამ მაინც საჭიროა, ფართო საზოგადოებაში გაიდგას ფეხი იმ აზრმა, რომ ძველი ტიპის სკოლა აღარ აკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ მოთხოვნილებას და არ შეეგუება არსებულ, შეცვლილ პირობათ.

რა არის ეს ახალი, რა მოხდა ამ უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში, რამაც უნდა შესცვალოს ზოგიერთი მხარე ჩვენი სწავლა აღზრდის მეთოდებისა? თავდაპირველად ის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ცხოვრება გართულდა, მასში დაიბადა და გამოირკვა პოლიტიკური მიმართულებანიც, იცვალა ფერი მეურნეობამაც, რომელიც ბატონყმური განწყობილებიდან გადავიდა ნახევრად თავისუფალ ფორმებში და უკანასკნელ დროს ინტენსიურ, მაღალი კულტურის ზეგავლენასაც განიცდის. პირველ ყოფილი გუთანი აქა-იქ ფოლადის გუთანით იჩაგრება, კაჟიანი ქვერი სალეწ მანქანას ადგილს ... ადგილს და სხ.

ინტელიგენცია, გამოსული თავად-აზნაურულ წრეებიდან და გაჟღენთილი მარტო ჰუმანიტარული და კლასიკური სწავლით, გატაცებული ერის მოწინავე ელემენტების თვით ფსიხოლოგიის გარდაქმნით, ახალი იარაღის შექმნით ცხოვრებასთან ბრძოლაში, დღეს კარგად ხედავს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, **უკეთესად** ხედავს თავის წინაპრებზედ, რომ მარტო განათლება და განათლება მარტო ზედაპირებისა საკმარისი არ არის. ის კარგად გრძნობს რომ ყველა სიკეთესთან მესამოცე წლების მოწინავე პირებმა უგულებელ ჰყვეს სხვა მხარეები ცხოვრებისა და განათლებასთან ერთად არ შეეცადნენ ნიადაგის მომზადებას ეკონომიურ გალონიერებისათვისაც. არ მიხედეს იმ ხალხს, რომელიც ერთად ერთი ჰქმნის ერის ძალას ცხოვრებისას, იწვევს პულსაციას,—არ მიხედეს სოფლის მეურნეს. ან თუ მიხედეს, ცალი თვალით და აქა-იქ, ესეც იმ გვარად, რომ მიუხედველობა სჯობდა: ამდენი ხნის განმავლობაში უხსნიდნენ ბიბლიოთეკებს, როცა წერა-კითხვის მცოდნენი არა ჰყავდათ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, როცა მამას 6—7 წლის ბიჭი უკვე თანამშრომლად ეგულება ნახირში ან სხვა საქმეზედ და თავისი გაჭირვებული ცხოვრების, ძნელი უღელის გამწევადაც. ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ გლეხ კაცს ართმევდნენ შვილს წერა-კითხვის სასწავლებლად და ისიც, ინსტინქტიურად წინააღმდეგობას უწევდა ასეთს გამოუსადეგარ სწავლებას და „შეუგნებელის“ სახელს კი იმსახურებდა. არსად, თვით სამეურნეო სკოლებშიაც კი არა ჰქონდათ ის პრაქტიკული მიმართულება, რომელიც თვალნათლივ დაანახვებდა მამას, რომ მისი შვილი რაღასაც **გამოსადეგს** იძენს და შინაურობაში მოიხმარს. ამ სკოლებშიაც მარტო ზედაპირული სწავლება იყო თეორიული და რადგან თვით სკოლები მეორე ხარისხოვანად ითვლებოდნენ,—მთელი გულისყური ქართველი საზოგადოებისა კლასიკურ სწავლაზედ იყო მოქცეული.—იქ, მოსწავლეთა მარტო „ნარჩენები“ მიდიოდნენ: გამოგდებულნი, კლასში დარჩენილნი, უნიჭონი და სხ. და სხ. ათასში ერთხელ თუ მოექცეოდა ამ სკოლაში ისეთი ბავშვი, რომელიც უნარს გამოიჩენდა და

არამცთუ ცუდად დაყენებულ სწავლიდან ისარგებლებდა რაიმეს, არამედ სხვაგანაც, თავის სოფელში ან სადმე მამულში გამოიყენებდა. საერთო ატმოსფერა არ უწყობდა ხელს ასეთი სასწავლებლების განვითარებას და მით უფრო გულმოდგინეთ უნდა დაუბრუნდეთ ამ ეტაფს განვითარებისას, თუ არა გვსურს სრულიად მოსპობა პირისაგან ქვეყნისა. კლასიციზმმა თავისი საქმე გააკეთა და წინაც დიდი ღვაწლი ელის, მაგრამ დროა, დრო სხვა მხარეებსაც მივხედოთ და აწ არსებული წესი, გამეფებული ჩვენ საშუალო და დაბალ სკოლებში, შევცვალოთ.

ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ იმ სამეურნეო სკოლებსაც, რომელნიც აქამდის პარიების როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივ აზრის მსვლელობაში. კლასიციზმს სარბიელი აღარ ჰყოფნის და იმ სარბიელზედ, საცა ცხოვრება მოითხოვს ათასობით მშრომელს ხალხს—იქ არავინ გვეგულება, არავინ გვეზრდება.

აი თუნდა ი. წინამძღვრიშვილის სკოლიდან დავიწყოთ და ოცდაათი წლის იუბილეის დღეს ისეთი ოცდაათი წელიწადი წაუმატოთ, რომელიც რეალურად ააყვავებს მთელ საქართველოს. და ამ აყვავებას დაიწყებდეს თვით სკოლიდან, საცა შეიქმნებოდეს სამაგალითო მეურნეობა, —ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ჭირნახულის მოვლა და სხ. და არა მარტო ძვირფასი შენობანი, სკოლა წერა-კითხვისა და სხ. ეს იმითაც უფრო ხელსაყრელი იქნება, რომ **თვით სკოლას** შეეძლება შენახვა თავისი თავისა, რადგან მეურნეობა დიდს შემოსავალს მისცემს და ამასთან **მაგალითით** შეასწავლის მოსწავლეთ მეურნეობის აუცილებელ და დიდს მნიშვნელობას.

რ. გ.

(შემდეგი იქნება).

„კავკასიური ეკელი“

ცნობილია, რომ ამიერ კავკასიაში სხვა და სხვა ყველები კეთდება. სახელებიც სხვა და სხვა აქვთ. არის მაგალითად ქართული ყველი, ერევნული, ოსური და სხვა... მაგრამ არსად არ გამიგონია რომ სადმე „კავკასიური“ ყველი კეთდებოდეს. ეს სახელი პირველად გავიგონე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო დარბაზში, ბ. ქალანთარის მოხსენებიდან როდესაც იგი მოუთხრობდა გერმანელ სტუმრებს ამიერ კავკასიის მესაქონლეობის და მერძეობის საქმის განვითარებაზედ. „აი, ბატონებო, ეს კავკასიური ყველია“ [illegible] ქალანთარმა და უჩვენა ვეებერთელა ყველეული. ეს ყველეული კი ნამდვილი ქართული ყველი იყო. გამაოცა და გამაკვირვა იმან, თუ რა მიზეზით ასე მოულოდნელად დარბაისელმა ბ. ქალანთარმა შეუცვალა ქართულ ყველს მისი ძველებური სახელი და მონათლა „კავკასიურად“. არ დავიჯერებ, რომ გამოცდილ აგრონომ ქალანთარს არ სცოდნოდეს ჩვენი ყველების ნამდვილი სახელები. ნუ თუ აქაც პოლიტიკანობამ ამოჰყო თავი. საზოგადოდ კი ცნობილია, რომ ქართულ ხელებით თუ რამე სასარგებლო და კარგი კეთდება, უსათუოდ „კავკასიურ“ სახელით ინათლება... სახელი „ქართული“ კი სასტიკად იდევნება „ინტერნაციონალურ“ წრეებში.

რათა, რისთვის? ნუ თუ სიმართლის დამალვით ჩვენ მეზობელ მოლვაწეებს ჰგონიათ წაშალონ ჩვენი სახელი? რასაკვირველია არა... თვითონ კი კვლავ დაგვიმტკიცებენ თავის წვრილმანობას და ერთხელ კიდევ სირცხვილსა სჭამენ...

ქართველი მეყველე.

მარილია?

ამ სათაურით „ხაკ. რეჩ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის წერილი:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნ. მარრმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ანში, შესწყვიტა მუშაობა და იძულებულია სრულიადაც თავი დაანებოს დაწყებულ საქმეს. შეჩერებულია აგრეთვე ბეჭდვა ანში ნამუშევარის შედეგებისა. ჩვენგან რაღაც გამოურკვეველ მიზეზებისა გამო, პროფ. მარრი იძულებული გახდა, საყვარელ საქმისთვის თავი დაენებებინა. ამასთანავე ერთად ხმები გავრცელდა, მარსა და ეჩმიაძინის კომიტეტს შორის კონფლიქტი იმიტომ დაიბადა, რომ ამ ბოლო დროს მარმა აღმოაჩინა ნიშნები ქართული კულტურისა ანში. ამბობენ, ეჩმიაძინის კომიტეტმა აუკრძალა მარრს ამ ცნობების გამოქვეყნებაო. ეს ხმები დაუჯერებლად მიგვაჩნია, მაგრამ მაინც ვაქვეყ-

ნებთ, რათა თვით ბ-ნ მარრს მივცეთ საშუალება გამოარკვიოს, რამ აიძულა იგი, თავი დაენებებინა მუშაობისთვის. საზოგადოება დაინტერესებულია და, რა თქმა უნდა, ძალიანა ჰსურს სიმართლის გაგება".

ნუ თუ ესეც „კავკასიური" ყველია?

აი, ამაზედ ამბობდა ილია ჭავჭავაძე: „გაცულლუტებულნი მეცნიერნი და გამეცნიერებულნი ცულლუტები!"

კოოპერატიული მოძრაობა

სასოფლო ბანკების კავშირები

სასოფლო ბანკების კავშირების მოწყობაზედ ეურ. „კლდეში" რამდენიმე წერილი დაიბეჭდა... სხვათა შორის ძირითადი აზრი ამ წერილებისა ის იყო, რომ სასოფლო ბანკების კავშირები ჯერ პატარა რაიონებში უნდა მოეწყოს და მერმე ყველა სარაიონო კავშირებმა ერთს საერთო კავშირის ქვეშ უნდა მოიყარონ თავი. ამ აზრს იზიარებს „სასოფლო გაზეთიც". აი ამის შესახებ რასა სწერს იგი:

„ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს სოზოგადოთ ჩვენებურ კოოპერატიულ ამხანაგობათა და კერძოდ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გაერთიანების აუცილებელი საჭიროება. ამ გვარი გაერთიანებით ორ მიზანს შეგვიძლია მიკაღწიოთ: გავამაგრებთ არსებულ კოოპერატივებს და ხელს შეეუწყობთ ახლების გაჩენასა და აღორძინებას. ორივე მიზანი ფრიად საპატიო და საყურადღებოა. ამ გაერთიანებას სოფლისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩვენ ვიცით, რომ სოფელი შედარებით დარიბია საზოგადო დაწესებულებებისათვის საჭირო და შესაფერი ძალების მხრით თან არც ის კარგი მოება უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლის ატმოსფერა ძლიერ უწყობს ხელს დაწვრილმანებას, კინკლაობას, საზოგადო ინტერესის ალაგას კერძო ინტერესთა და ლტოლვილებათა გაბეფვას. ცხადია — ასეთი მოგლენა მით უფრო ხშირი იქნება და მას მით მეტი დამღუშველი გავლენა ექნება ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულების ბედ იღბალზე, რაც მეტ დრას იქნება ეს უგანსაკუთრებელი მიშვებული საკუთარ ნებაზე, რაც მეტ ხანს იარსებებს იგი ცალკე, სხვებთან შეუკავშირებლად. მათი შეკავშირება ერთი საშუალებათაგანი იქნება ხსენებულ ბოროტებასთან საბრძოლველად, ვინაიდან კავშირი შიგნ თავისი არსებობით საზოგადო მიდრეკილების გამაძლიერებელია, იგი ეროვნული ეფექტი საზოგადოს მეტი ეურადღებას მიექცეს, ვინემ კერძოს, მისი მოდგაწეობა შეიძლება იყოს [illegible], რომელიც ეველასათვის თანაბრად საყვარელი და საყურველი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს და რომც დაარსდეს იგი, მომავალი მას მაინც არ დარჩება.

მაშასადამე, კავშირის დაარსება ეროვნულ მხრივ ხელს შეუწყობს სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებათა განვითარებას, მათი არსების განმტკიცებას.

მერე საკითხი იმაშია:—როგორ, ანუ რა გზით გავაძლიერეთ ეს გაერთიანება?

ჩვენ საზოგადოთ აჩქარება გვიყვარს. თუ რაიმე აზრი დაგვებადა თავში, გვინდა იგი ან ერთბაშათ განვახორციელოთ, ან სულ არა. ამ შეხედულებაზეა, ვფიქრობთ, ჩვენ ძალიან გვეშალება. უკანა ორი კრება იყო წვრილი კრედიტის დაწესებულებათა საგუბერნიო კავშირის დაარსების შესახებ. თქმა არ უნდა, ასეთი კავშირი საჭიროა.

მეორე კითხვა იმაშია, სადგან უნდა დაგვეწყო მისი შენება.

ვფიქრობთ, აქ უმჯობესი იქნებოდა ჯერ-ჯერობით უფრო ეკონომია რაიონები შეგვეროებინა, ვთქვათ, დაგვარსებინა სამაზრო კავშირები და რიცა ეს ბირველ საფეხურზე დარაზმვის პროცესი გათავდებოდა, მერე შეგვედგინა საგუბერნიო კოოდექტივი. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი გზით აშენებულ კავშირს გაცილებით მეტი სიმტკიცე და ავტორიტეტი ექნებოდა, სამაზრო კავშირები შემოვიდოდნენ საგუბერნიოში თავისი გამოცდილებითა და ბრაქტიკით, ამით მოიგებდა რაგორც საგუბერნიო დაწესებულება, ისე ცალკე აღებული თითოეული კოოპერატიული ამხანაგობა. საგუბერნიო კავშირის დადგენილებებსაც მაშინ გაცილებით მეტი რეალური ძალა ექნებოდა, მას მეტ ანგარიშს გაუწევდნენ რაგორც მისი წევრები, ისე ის დაწესებულებანი, რომლებთანაც მას საქმე ექნებოდა დაჭერილი.

და თუ ამ გზით არ დაწყებულა ჩვენებურ კოოპერატივთა გაერთიანება და საერთო კავშირის შენებას ზევიდან მივეკაროთ ხელი, საჭიროა მაინც ავქედანვე შევეგეთ საამაზრო ჯგუფების შექმნას, რომ საგუბერნიო კავშირის ოფიციალურად გახ-

სინასს სამაზრო კავშირებიც არსებობდნენ ‘.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ძალას არავინ დაგვატანს საგუბერნიო კავშირის მოწყობისათვის, რადგანაც მეტ შემთხვევაში კოოპერატივების ბედ-იღბალი ჩვენ ხელთ არის -და ამიტომ ვის შეუძლიან გვაიძულოს საგუბერნიო კავშირს მხარი დაუჭიროთ. პირიქით დიდი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ამ ბიუროკრატიულ ორგანიზაციას და მასთან ეხლავე შევუდგეთ მხოლოდ სარაიონო პატარა კავშირების მოწყობას.

დ. ვ.

ბატონს თევდ. ღლონტის

ჩვენს რედაქციას სრულებითაც აზრად არა ჰქონია ვისიმე პირადი შეურაცხყოფა და კერძოდ ბატონ ღლონტისა, მაგრამ რადესაც **ერთსა და იმავე** ცილისწამებას რომელიმე ბეჭდვითი ორგანო რამდენიმე თვის განმავლობაში იმეორებს სხვა და სხვა პირით, მოთმინებასაც საზღვარი აქვს ხოდმე. განა ახლა უგულო შეგნებული ადამიანისაგან, მაგალ., ცხადი არ არის, რომ ის საპროტესტო წერილები, რომელნიც იბეჭდებიან ს. დ. „პრესაში“, ყოველ მოთმინებას დააკარგვინებენ ადამიანს? ესეთი დაჟინება რაიმე იდეისა, სიმართლისა—მრწამს, მაგრამ ახირება სიყალბეშია—კერძოური საქმეებურია. და თუ ბატონი ღლონტი განდეკითხავს ჩვენსა და „სახალხო გაზეთის“ შორის ატეხილ კამათს ხაზნობის შესახებ და გულწრფელად გამოსთქვამს თავის მსჯავრს, იგი უნდა გამოტეხდეს, რომ მისი **განმეორება** წინანდელი ბრალდებისა ყოვლად უსაფუძვლოა. ესეთი გამოტეხა ძნელია, მაგრამ პატიოსანი. ჩვენ არავის დროს არ მიგვიმართავს ყალბი საბუთებისათვის და ფინებისათვის და გვსურს (იქნებ უიმედოც იყოს) აღვადგინოთ პრესტიჟი პრესისა, რომელიც უკანასკნელ დროს თანდათობასაც არ ერიდება მოპირდაპირესთან კამათში.

არსებით საგანზე და საგნის გამორკვევაზე ჩვენ ეარი არასოდეს არ გვითქვამს, მაგრამ პირად კინკლაობაზედ კი ბევრჯელ ხელი აგვიღია, რადგან ეს საგანს შეიდეად აბნელებს და რევნის.

რაც შეეხება იმას, რომ ბ-ნ ღლონტის გამოუქვეყნებია ჩვენი კერძო წერილი მოაზრებით და არა შეცდომით, რადგან „**ბოდიშიც მოვიხადეო**“—ეს იმ ანგარიშს მაგონებს, ვინც კაცს რომ თავი მოაგდებინეს და შერე დაატანეს, უკაცრავად რომ მოგაგდებინეთო. წესი კოოპერაციის საერთ უბრალოა: კერძო წერილების ავტორის დაუკითხავად საჯაროდ არა ჩდიან, ითრეკ/ბოდაშიც საჭირო არ იქნებოდა. და თანამშრომელს რომ შეხაუნა საქმეები გაუზიარეთ, განა უნდა [illegible]?

* * *

ჩვენი ფოსტა

ჩვენი შინ-ზრდილი პოეტები ყოველთვის ბევრსა სწერენ, მაგრამ ეტყობა, შემოდგომაზედ მათი ფანტაზიის ხეხილიც უფრო უხვად იღებს ნაყოფსა და მოგვივიდა:

კვანჭატურიასაგან: „...მოდი ვნახოთ ვენახი,
ამოსულა ბალახი
მოდი ვნახოთ თბილ
სულ მთლად გადახმაო...“

გეტყობათ ყური მოგიკრავთ ხალხურ ლექსისათვის, მაგრამ შიდა ფუღუროს რეზონანსი გაგფუჭებიათ.

თელაველ ნიკოსაგან: „ვარდს ზამბახი გადავაწან
შიგ ჩავგრიხე ია მე
გვირილები შემოუწყე
მაინც, ეთერ, მშია მე“...

დიდებული მხატვარი ოვინი შენ არა ხარ, ბალახით გასძღებოდე და გვიკვირს რომ ბოჩოლობაც არ შეგძლებია.

ცუცაკას: „. . თუ ამას დამიბეჭდავთ, კიდევ ბევრს მოგაწვდით“—

სწორედ ამისათვის ვერა.

მწიგნობარს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

ლას-პარს: „მთვარის ტრფიალით
ველად გავიჭერ
ქარის გრიალით
მიწას ჩავიჭერ...“

მაგრამა, ლას-პარ, ალბის ტრიალით— ვერას გახდები... ვერას დაიჭერ...

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.